INFLUENCE OF THE POLISH UPRISING OF 1830-31 TO THE 1832 GEORGIAN PLOT AND PETER ZAVELEISKY

პოლონეთის 1830-31 წლების აჯანყების გავლენა 1832 წლის შეთქმულებაზე საქართველოში და პეტრე ზაველეისკი

IRAKLI BARAMIDZE
Doctor of History, Associate Professor
of Batumi Shota Rustaveli State University
N35 E. Ninoshvili st. Batumi, Georgia
ORCID: 0000-0001-7540-7006
erekle1770@hotmail.com
+995 577 30 40 20

Abstract.

At the beginning of the 19th century, Russia abolished the Kingdom of Kartl-Kakheti, then the Imeretian kingdom, and turned the whole of Georgia into a simple province of the Empire, as a result of which Russian rule was established here. Things were different in contemporary Poland. After the Napoleonic Wars, by the decision of the Congress of Vienna, the Kingdom of Poland was created, which was in union with Russia and had its constitution, a bicameral parliament, and army. However, the ruling elite, the aristocracy, and patriotic youth dreamed of complete independence and the restoration of Poland (the Commonwealth) within the borders of 1772. On the other hand, the Russian government increasingly tried to limit the semi-independent state of Poland.

In the 1820s, preparations began in Poland for an anti-Russian uprising, which was accelerated by the French Revolution of 1830. The immediate pretext was the decision to send Polish soldiers to put down the Belgian revolution. Despite some successes in the first half of 1831, Russia managed to suppress the uprising with blood, occupied Warsaw and canceled the constitution of 1815. The Kingdom of Poland was declared a part of Russia, which led to the strengthening of Russian influence on it. Some of the rebels were resettled in separate provinces of Russia, including Georgia. The Polish uprising had a certain influence on the 1832 Georgian plot, which is read from the testimonies of the participants. The uprising was planned as early as 1831. According to one of the leaders of the conspirators, they were waiting to see if the Russians would take Warsaw, and when Warsaw fell, this plan was thwarted. The Commission of Inquiry also recognized that only the fact of the Polish uprising mattered and influenced the origin and development of the Georgian conspiracy.

The second question is the participation of the Poles who immigrated to Georgia in the 1832 Georgian plot. As it turned out, the conspirators were preparing them to participate in the uprising. According to the observation of the Commission of inquiry, the conspirators hoped for the participation of the Poles in Georgia (their number was up to 3 thousand), but they did not see anything suspicious in the behavior of the soldiers and did not take any measures against them. Despite this, the mass participation of the Poles in the conspiracy cannot be ruled out. As for the Poles in the bureaucratic arena in Georgia, P. Zaveleisky, born in 1800, who has been in Georgia since 1827, deserves special mention. He begins to work as the head of the

treasury expedition. On April 25, 1828, he was appointed vice-governor for the financial department, and by decree of February 4, 1829, he was promoted to civil governor of Georgia with the rank of real state councilor.

Although he was in the service of the empire, he is considered one of the main participants in the 1832 Georgian plot. At the time of the failure of the conspiracy, Zaveleisky did not hold the post of civil governor and was not in Georgia. Most of the interviewed conspirators did not personally know Zaveleisky, although some of them knew about his participation in the conspiracy. Al. Orbeliani, one of the leaders of the conspiracy, directly accused him. Zaveleisky was to have close ties with the leadership of the conspirators both in Moscow and Tbilisi. On the way to official business, he always stopped in Moscow and consulted with Okropir Bagrationi and other leaders of the 1832 Georgian plot. However, due to the lack of irrefutable evidence, Zaveleysky escaped capture.

Keywords: Polish uprising, Georgia, 1832 Georgian plot, P. Zaveleisky, Commission of Inquiry

ირაკლი ბარამიძე
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
საქართველო, ბათუმი ე. ნინოშვილის ქ. N35
ORCID: 0000-0001-7540-7006
erekle1770@hotmail.com
+995 577 30 40 20

აბსტრაქტი.

1830-31 წლებში რუსეთთან უნიაში მყოფ პოლონეთში დიდი ანტირუსული აჯანყება მოეწყო, რომლის მიზანიც სრული დამოუკიდებლობის მიღწევა და დიდი პოლონეთის აღდგენა იყო. გარკვეული წარმატების მიუხედავად, რუსეთმა მოახერხა აჯანყების სისხლში ჩახშობა, დაიკავა ვარშავა და გააუქმა 1815 წლის კონსტიტუცია. პოლონეთის სამეფო რუსეთის ნაწილად გამოცხადდა, რასაც მასზე რუსული გავლენის გაძლიერება მოჰყვა. აჯანყებულთა ნაწილი რუსეთის ცალკეულ გუბერნიებში, მათ შორის საქართველოშიც გადმოასახლეს.

აჯანყებას დიდი გამოძახილი ჰქონდა ევროპაში. მის მიმდინარეობას თვალყურს ადევნებდნენ საქართველოშიც, განსაკუთრებით თავად-აზნაურთა იმ წრეში, რომელიც საქართველოდან გასახლებულ ბატონიშვილებთან ერთად საქართველოს აღდგენაზე ოცნებობდნენ და 20-იანი წლების შუა ხანებიდან ფარულ საქმიანობასაც ეწეოდნენ. პოლონეთის აჯანყებას გარკვეული გავლენა ჰქონდა 1832 წლის შეთქმულებაზე, რაც აშკარად იკითხება მონაწილეთა ჩვენებებიდან. აჯანყება ჯერ კიდევ 1831 წელს იგეგმებოდა. შეთქმულთა ერთ-ერთი ხელმძღვანელის

ჩვენებით, ელოდებოდნენ აიღებდნენ თუ არა რუსები ვარშავას. და როგორც კი მოვიდა ამბავი ვარშავის აღების შესახებ, ეს განზრახვაც ჩაიშალა.

მეორე საკითხია საქართველოში გადმოსახლებული პოლონელების მონაწილეობა 1832 შეთქმულებაში. როგორც ირკვევა, შეთქმულებს ეს თადარიგიც ჰქონდათ დაჭერილი და ისინი აჯანყებაში მონაწილეობის მისაღებად მომზადებულიც ჰყოლიათ. რაც შეეხება საქართველოში ბიუროკრატიულ ასპარეზზე მყოფ პოლონელებს, მათ შორის განსაკუთრებული აღნიშნვის ღირსია 1800 წელს დაბადებული პეტრე დემიანის ძე ზაველეისკი, რომელიც 1827 წლიდან უკვე საქართველოშია. მუშაობას იწყებს სახაზინო ექსპედიციის უფროსად. 1828 წლის 25 აპრილს დანიშნეს ვიცე-გუბერნატორად საფინანსო ნაწილში, ხოლო 1829 წლის 4 თებერვლის ბრძანებულებით დააწინაურეს საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორად.

იმპერიის სამსახურში ყოფნის მიუხედავად, პ. ზაველეისკი მიჩნეულია 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთ მთავარ მონაწილედ. დაკითხულ შეთქმულთა უმრავლესობა ზაველეისკის პირადად არ იცნობდა, თუმცა ნაწილს გაგებული ჰქონდა აღნიშნულ წრეში მისი მონაწილეობის ამბავი. შეთქმულნი განსაკუთრებით ერიდებოდნენ წარჩინებული, რუსეთის სამსახურში მყოფი, დიდი თანამდებობის პირთა შეთქმულებაში მონაწილეობის გამომჟღავნებას, ყოველივე საშუალებით ცდილობდნენ მის დაფარვას. შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი ალ. ორბელიანი პირდაპირ ადებს მას ხელს. პ. ზაველეისკის შეთქმულთა მესვეურებთან მჭიდრო ურთიერთობა უნდა ჰქონოდა როგორც მოსკოვში, ასევე თბილისში. თუმცა, უტყუარ მტკიცებულებათა არ არსებობის გამო, იგი დაჭერას გადაურჩა.

საკვანძო სიტყვები: პოლონეთის აჯანყება, საქართველო, 1832 წლის შეთქმულება, პ. ზაველეისკი, საგამოძიებო კომისია.

შესავალი

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთმა გააუქმა ჯერ ქართლ-კახეთის, შემდეგ იმერეთის სამეფო და მთელი საქართველო იმპერიის უბრალო პროვინციად აქცია, რასაც აქ რუსული მმართველობის დანერგვა მოჰყვა. განსხვავებული სიტუაცია იყო თანადროულ პოლონეთში. ნაპოლეონის ომების შემდეგ, ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით, შეიქმნა პოლონეთის სამეფო, რომელიც იყო უნიაში რუსეთთან და ჰქონდა საკუთარი კონსტიტუცია, ორპალატიანი პარლამენტი, ჯარი. თუმცა, მმართველი ელიტა, არისტოკრატია და პატრიოტულად განწყობილი ახალგაზრდობა სრულ დამოუკიდებლობასა და 1772 წლის საზღვრებში პოლონეთის (რეჩ პოსპოლიტა) აღდგენაზე ოცნებობდა. თავის მხრივ, რუსეთის

ხელისუფლება პოლონეთის ნახევრად დამოუკიდებელი მდგომარეობის სულ უფრო მეტად შეზღუდვას ცდილობდა.

პოლონეთში აჯანყებისთვის მზადება 20-იან წლებში დაიწყო, რაც დააჩქარა 1830 წლის საფრანგეთის რევოლუციამ. უშუალო საბაბად კი იქცა ბელგიის რევოლუციის ჩასახშობად პოლონელი ჯარისკაცების გაგზავნის გადაწყვეტილება. 1831 წლის პირველ ნახევარში გარკვეული წარმატების მიუხედავად, რუსეთმა მოახერხა აჯანყების სისხლში ჩახშობა, დაიკავა ვარშავა და გააუქმა 1815 წლის კონსტიტუცია. პოლონეთის სამეფო რუსეთის ნაწილად გამოცხადდა, რასაც მასზე რუსული გავლენის გაძლიერება მოჰყვა. აჯანყებულთა ნაწილი რუსეთის ცალკეულ გუბერნიებში, მათ შორის საქართველოშიც გადმოასახლეს.

პოლონელთა ანტირუსულ გამოსვლას დიდი გამოძახილი ჰქონდა ევროპაში. მის მიმდინარეობას თვალყურს ადევნებდნენ საქართველოშიც, განსაკუთრებით თავად-აზნაურთა იმ წრეში, რომელიც ქვეყნიდან გასახლებულ ბატონიშვილებთან ერთად საქართველოს აღდგენაზე ოცნებობდა და 20-იანი წლების შუა ხანებიდან ფარულ საქმიანობასაც ეწეოდა. პოლონეთის აჯანყებისადმი ქართველ შეთქმულთა ყურადღება შემთხვევითი არ იყო, რამეთუ მას უდიდესი საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა და პროგრესულად მოაზროვნე ევროპაც ამ აჯანყებას უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

1832 წლის შეთქმულება, რომელიც წლების მანძილზე მზადდებოდა, გამცემლობის მიზეზით, სამწუხაროდ, აჯანყებაში ვერ გადაიზარდა. მიუხედავად ამისა, მან დიდი როლი ითამაშა ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებაში და, ფაქტობრივად, იდეურად შეამზადა ის მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც საფუძველი XIX საუკუნის 60-იან წლებში ჩაეყარა.

არსებობს მოსაზრება, რომ ქართველი არისტოკრატია საკუთარი ნაციონალიზმის ფორმირების პროცესში სწორედ პოლონური არისტოკრატიის მიერ შექმნილ ნაციონალიზმს ეყრდნობოდა და პოლონელი ნაციონალისტების სტრატეგიის გამოყენებას ცდილობდა, რასაც განაპირობებდა მეცხრამეტე საუკუნის პოლონური და ქართული ფეოდალური საზოგადოების სტრუქტურათა მსგავსება და მჭიდრო კავშირ-ურთიერთობა (საბანაძე გ., ჯგერენაია ე., 2021, გვ. 16-17). ეს ურთიერთობა სათავეს XIX საუკუნის დასაწყისიდან იღებს. საქართველოში დამპყრობელი რუსული ჯარის შემადგენლობაში ბევრი პოლონელი იყო. კავკასიის მთავარმართებელი, წარმოშობით იტალიელი, კათოლიკე ფ. პაულიჩი (1811-1812) წმინდა სინოდის ობერ-პროკურორისადმი 1812 წლის აპრილის წერილში აღნიშნავდა, რომ საქართველოში მდგარ რუსულ საჯარისო შენაერთებში იყო ბევრი კათოლიკე, განსაკუთრებით პოლონეთიდან შემოყვანილ რეკრუტებში (АКАК(5), 1873, გვ. 50). იყვნენ ის პოლონელებიც, რომლებიც რუსეთის ცარიზმის ბიუროკრატიულ აპარატში მსახურობდნენ. საქართველოში აღმოჩნდნენ რუსეთის წინააღმდეგ ნაპოლეონის არმიაში მებრძოლი პოლონელი ჯარისკაცები, რომლებიც

აქ გადმოასახლეს სამხედრო ტყვეების სტატუსით. მათი ნაწილი საქართველოს სამხედრო გზის აღდგენა-მშენებლობაში მონაწილეობდა, ნაწილი საქართველოში მოქმედ არმიაში განაწესეს (ხუნდაძე, გ., კიკილაშვილი, ვ., 2012, გვ. 61). 1812 წელს მთლიანად კავკასიაში, სავარაუდოდ, გამოიგზავნა 10 ათასი პოლონელი ჯარისკაცი, 1832-34 წლებში კი კიდევ 9 ათასი (Furier, 2019, p. 11).

წლების მანძილზე პოლონელებსა და ადგილობრივებს შორის ძალიან თბილი ურთიერთობა ჩამოყალიბდა, განსაკუთრებით კათოლიკურ წრეებში, რის დასტურადაც გამოდგება ის ფაქტი, რომ 1846 წლის 12 მარტის რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, თბილისის რომის კათოლიკეთა მიძინების ეკლესიის მღვდლებად შეიძლება დანიშნულიყვნენ მხოლოდ პოლონელი პატრები (როგავა, 1996, გვ. 55). ამ ურთიერთობაზე მიუთითებს მ. თამარაშვილის ცნობაც, რომ 1870 წელს, სტ. ზუბალაშვილის მოთავეობით პეტრე და პავლე მოციქულთა სახელზე აგებული ეკლესია უმთავრესად 1830 წლის ვარშავის აჯანყების დამარცხების შემდეგ გადმოსახლებულ პოლონელთათვის იყო აშენებული (თამარაშვილი, 1995, გვ. 733).

მეთოდები

ნაშრომი ეყრდნობა 1832 წლის შეთქმულების საგამოძიებო მასალებს, რომელთა ნაწილი გამოქვეყნებულია XIX საუკუნის 70-80-იან წლებში, კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში, ნაწილი კი გ. გოზალიშვილის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში – 1832 წლის შეთქმულება (ტ. I – 1935, ტ. II – 1970). კვლევა იყენებს სპეციალური სამეცნიერო და მემუარული ლიტერატურის მონაცემებს. ნაშრომი დაიწერა საისტორიო წყაროების და სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე.

კვლევისას გამოყენებულია წყაროების კრიტიკული ანალიზის, ისტორიულ-შედარებითი, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდები. მათი კომბინაცია საშუალებას გვაძლევს პოლონეთის 1831 წლის აჯანყების გავლენა 1832 წლის შეთქმულებაზე განვიხილოთ ეპოქის ზოგად კონტექსტში. სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე დაზუსტებულია ამ გავლენის ხასიათი და ხარისხი, პოლონეთიდან გადმოსახლებულთა და რუსული ხელისუფლების ბიუროკრატიულ აპარატში მყოფ პირთა (პ. ზაველეისკი) შეთქმულებაში მონაწილეობის და სხვა საკითხები.

დისკუსია

პოლონეთის აჯანყებას, რომელსაც დიდი საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა, გარკვეული გავლენა ჰქონდა 1832 წლის შეთქმულებაზე, რაც აშკარად იკითხება მონაწილეთა ჩვენებებიდან. ისტორიული და სოციალური კონტექსტიდან გამომდინარე, ეს არცაა გასაკვირი და მოულოდნელი. გასარკვევია მხოლოდ ამ გავლენის ხასიათი. აჯანყება ჯერ კიდევ 1831 წელს იგეგმებოდა. შეთქმულთა ერთ-

ერთი ხელმძღვანელის ჩვენებით: „1831 წელში გვქონდა შეთქმულება და განკარგულებაც მოხდენილი იყო, თუ ჩვენგანი ვინ როგორ უნდა მოქცეულიყო, მხოლოდ ველოდებოდით აიღებდნენ თუ არა რუსები ვარშავას. და როგორც კი მოვიდა ამბავი ვარშავის აღების შესახებ, ჩვენი განზრახვაც ჩაიშალა" (გოზალიშვილი (1), 1935, გვ. 61). საგამოძიებო კომისიაც აღიარებდა, რომ „პოლონეთის აჯანყების ყრუ გამოძახილი ეტყობა ქართულ შეთქმულებას და ისიც არა უშუალოდ, ყოველივე შინაგანი ან ორგანიზაციული კავშირის გარეშე; მისი რწმენით პოლონეთის აჯანყების მხოლოდ ფაქტსა ჰქონდა მნიშვნელობა და გავლენა ქართველთა შეთქმულების წარმოშობა-განვითარებაზე“ (გოზალიშვილი (1), 1935, გვ. 54).

შეთქმულნი ყოველთვის კითხულობდნენ გაზეთებს და პოლონეთის ამბებს ანალიზს უკეთებდნენ. ალ. ორბელიანი უჩვენებს, რომ. 1831 წ. ქართლში თავის მამასთან გამგზავრებული ლუარსაბ ორბელიანის რძალი მანანა (რომელიც შეთქმულებაში გარეული იყო ალ. ორბელიანის ცოლთან ერთად) გაუცილებიათ ალ. ჭავჭავაძეს, ელიზბარ და გიორგი ერისთავებს, ალ. და ლუარს. ორბელიანებს, და „მერე გზაზე ჩვენ ვილაპარაკეთ პოლონეთზე და რაღაც ამ შეთქმულებაზე, მაგრამ მას შემდეგ დიდი ხნის განვლის გამო აღარ მახსოვს ვისგან რა ითქვა“-ო. ვახტანგ ორბელიანი აღიარებს, რომ პეტერბურგში დიმიტრი ბატონიშვილი კიცხავდა რა ქართველებს, რომ ისინი რუსებს თავის დაჩაგვრის ნებას აძლევდნენ, მათ პოლონელებზე მიუთითებდა. 1831 წელს კი შეთქმულნი პოლონეთის აჯან-ყების წარმატებას ელოდნენ, ხოლო ელიზბარ ერისთავი მოწმობს, რომ 1831 წელს მამაცაშვილთან სადილზე ჰქონიათ მსჯელობა პოლონელთა მოქმედების შესახებ (გოზალიშვილი (1), 1935, გვ. 59-60).

შეთქმულები დაკითხვის დროს ხშირად ახსენებდნენ პოლონეთის აჯანყებას, მაგრამ ზოგიერთი შეთქმული საქმის არსს ისე წარმოადგენდა, თითქოს პოლონეთის აჯანყების შესახებ დაწვრილებით არაფერი იცოდნენ და მხოლოდ ზერელე წარმოდგენა ჰქონდათ მასზე. თუმცა მასალების შესწავლა და დაკვირვება სწორედაც საწინააღმდეგო დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა. მკვლევართა სამართლიანი შეფასებით, მართალია, პოლონეთის აჯანყებასთან ორგანიზაციული კავშირის დამადასტურებელი პირდაპირი დოკუმენტები არ არსებობს, მაგრამ პოლონეთის აჯანყებასთან კავშირი სადავო არ უნდა იყოს (ხუნდაძე, გ., კიკილაშვილი, ვ., 2012, გვ. 82). „შეთქმულთა საქმის შემსწავლელი კომისიის მასალებში ვკითხულობთ: „1830 წლის ივნისის დასაწყისში, როდესაც ოქროპირ ბატონიშვილი დაბრუნდა რუსეთში, მასთან თბილისში შეთქმული პირები – ელიზბარ ერისთავი, მრჩეველი ორბელიანი და მასწავლებელი დოდაშვილი რამდენიმე თვის მანძილზე უმოქმედოდ იყვნენ და ერთმანეთსაც კი არ იცნობდნენ. მაგრამ წლის მიწურულს, როდესაც მოვიდა ცნობა პოლონეთის აჯანყების შესახებ, მათში ჩაბუდებულმა აზრებმა გაიღვიძა. ელიზბარ ერისთავი დაუახლოვდა რა ვახტანგ ორბელიანს, რომელიც ნახა ჯერ კიდევ პეტერბურგში

თავად დიმიტრისთან საუბრებისას, გაიგო მისგან, რომ მისი ძმა მრჩეველი ორბელიანი მათი თანამოაზრეა. ისინი მალე დამეგობრდნენ მასწავლებელ დოდაშვილთანაც და ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი გრძნობები, ოქროპირ ბატონიშვილისგან მიღებული მითითებები და მათ შესაბამისად დაიწყეს თანამოაზრეთა შემოკრება. ელიზბარ ერისთავმა, რომელიც იყო სხვებზე უფრო მგზნებარე და შემართული, აშკარად დაიწყო ქადაგება, რომ როგორც პოლონელები აღშფოთდნენ, საჭიროა საქართველოც აჯანყდეს თითქოსდა მათი მჩაგვრელი ხელისუფლების წინააღმდეგ... პოლონეთის აჯანყების გაფართოების კვალდაკვალ ძლიერდებოდა აქაური ბოროტმოქმედი საზოგადოებაც... მაგრამ, ცნობამ ვარშავის დაცემის შესახებ ყველაფერი დაამშვიდა და შეთქმულებმა დაინახეს საჭიროება გადაეფიქრებინათ ან გადაედოთ თავიანთი გეგმები“ (АКАК(8), 1881, გვ. 400, 402).

ცალკე საკითხია საქართველოში გადმოსახლებული პოლონელების მონაწილეობა 1832 შეთქმულებაში. როგორც ირკვევა, შეთქმულებს ეს თადარიგიც ჰქონდათ დაჭერილი და ისინი აჯანყებაში მონაწილეობის მისაღებად მომზადებულიც ჰყოლიათ. ლუარსაბ ორბელიანი უჩვენებს, „1832 წელს ელიზბარი მეუბნეოდა და მარწმუნებდა, რომ აქ არიან 500-დე პოლონელი, რომლებიც ჩვენს მხარეზე იქნებიანო“. ი. ფალავანდიშვილის ჩვენებით, „როდესაც მას უთქვამს დიმიტრი ერისთავისათვის, რომ შეთქმულნი ზარბაზნებს ვერ მოიხმარებენ, რად-გან ქართველთაგან არტილერიის საქმე არავინ იცის და ასე მალეც ვერავინ ისწავლისო, დიმიტრის უპასუხნია „პოლიაკები ბევრნი მოვლენ იმ ღამეს ჩვენის მხრით გაზრდილნი და მცოდნენი ამისანი“ (გოზალიშვილი (1), 1935, გვ. 59-60). საგამოძიებო კომისიის დაკვირვებით, შეთქმულებს საქართველოში მყოფი პოლონელების (მათი რიცხვი 3 ათასამდე ყოფილა) თანამონაწილეობის იმედი ჰქონდათ, თუმცა გამოძიებას ჯარისკაცთა ქცევაში საეჭვო არაფერი დაუნახავთ და მათ მიმართ არანაირი ზომა გაუტარებიათ. (АКАК(8), 1881, გვ. 407). პოლონურ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებითაც, კავკასიის რუსულ ჯარში მყოფი ათი ათასობით პოლონელი ჯარისკაცი ვერ იქცა ანტირუსული აქციის დასაყრდენად (Furier, 2019, p. 11). ამის მიუხედავად, პოლონელთა მასობრივი მონაწილეობის გამორიცხვა შეთქმულებაში შეუძლებელია, რადგან თვით რუსი სამხედრო ჩინოვნიკების აღიარებით, რუსეთის არმიაში გამწესებული პოლონელები უარს აცხადებდნენ რუსეთის იმპერატორის ერთგულების ფიცის მიღებაზე, რამდენადაც რუსეთის არმიაში ცარიზმის ინტერესებისათვის სამსახური თავიანთ ვალდებულებად არ მიაჩნიათ (ხუნდაძე, გ., კიკილაშვილი, ვ., 2012, გვ. 76). შესაბამისად, შეთქმულების წარმატებული სტარტისა და მასშტაბების პირობებში, ადვილი შესაძლებელი იქნებოდა მათი მიმხრობა.

რაც შეეხება საქართველოში ბიუროკრატიულ ასპარეზზე მყოფ პოლონელებს, მათ შორის განსაკუთრებული აღნიშნვის ღირსია 1800 წელს დაბადებული პეტრე

დემიანის ძე ზაველეისკი[1], რომელიც 1827 წლიდან უკვე საქართველოშია. მუშაობას იწყებს სახაზინო ექსპედიციის უფროსად. ალ გრიბოედოვთან ერთად შეადგინა ამიერკავკასიის განვითარების გეგმა[2], რომელიც „რუსეთის ამიერკავკასიის კომპანიის“ საქმიანობაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული. პროექტით კომპანიას უნდა დაეწყო ვაჭრობა რუსული და საზღვარგარეთული საქონლით და დაეარსებინა სამხრეთ კავკასიაში პირველი ფაბრიკა-ქარხნები, განევითარებინა მევენახეობა, მეღვინეობა, მეაბრეშუმეობა; გაეყვანა გზები, გაეხსნა სკოლები, სოფლის მეურნეობაში დაენერგა ახალი ტექნიკური საშუალებები. კომპანიას უნდა შეესრულებინა შუამავლის როლი მსოფლიო ვაჭრობაში ევროპასა და აზიას შორის (Андроников, 1968, გვ. 208-229). სამწუხაროდ, ირანში გრიბოედოვის ტრაგიკული აღსასრულის შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ არ მიიღო ეს პროექტი, რადგანაც ის ეწინააღმდეგებოდა რუსული იმპერიალიზმისა და ახლადფეხადგმული ბურჟუაზიის ინტერესებს, იმდროინდელი რუსეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტრუქტურას.

1828 წლის 25 აპრილს პ. ზაველეისკი დანიშნეს ვიცე-გუბერნატორად საფინანსო ნაწილში, ხოლო 1829 წლის 4 თებერვლის ბრძანებულებით – საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორად სახელმწიფო მრჩევლის ჩინით. მისმა წინამორბედმა გენერალ-მაიორმა ხოვენმა საკუთარი ნებით დატოვა თანამდებობა და 6 ივნისს პასკევიჩისგან მიიღო დასტური ზაველეისკისთვის გადაეცა უფლება-მოვალეობები (АКАК(7), 1878, გვ. 12). იმპერიის სამსახურში ყოფნის მიუხედავად, იგი მიჩნეულია 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთ მთავარ მონაწილედ. როგორც ირკვევა, რუსული ხელისუფლების მიერ ჩატარებული გამოძიების პროცესში დაკითხული 145 პირი, შეთქმულებაში მონაწილეობისა და დანაშაულის ხარისხის მიხედვით 10 ჯგუფად დანაწილდა. მერვე ჯგუფში – „ვიზედაც შეიძლება იჭვის მიტანა, რომ მათ ან იცოდნენ შეთქმულების ამბავი, ან მას თანაუგრძნობდნენ" – მოხვდა პ. ზაველეისკი და მასთან ერთად საფრანგეთის საკონსულოს მდივანი ლეტელიე (გოზალიშვილი (1), 1935, გვ. 36-37).

შეთქმულების ჩავარდნის დროისათვის ზაველეისკის არც სამოქალაქო გუბერ-ნატორის თანამდებობა ეჭირა და არც საქართველოში იმყოფებოდა. პოლონეთის აჯანყებისა და პასკევიჩის გაწვევის შემდეგ, 1831 წელს პ. ზაველეისკი გაათავისუფლეს სამოქალაქო გუბერნატორის თანამდებობიდან. ქართული

[1] ა. ვოზნიაკი დ. ზაველეისკის პოლონურ-ბელორუსულ წარმომავლობაზე საუბრობს და ხაზს უს-ვამს, რომ მისი 3-დან ორი შვილი, მათ შორის პეტრე, მართლმადიდებელი იყო (Woźniak, 1998, p. 36).

[2] ზაველეისკი მეგობრობდა ალ. გრიბოედოვთან, რომლის დაღუპვის შემდეგ მისი ქვრივის – ნინო ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძის ცოლად შერთვის სურვილიც ჰქონია. რაც შეეხება აღნიშნული პროექტის შედგენაში მის მონაწილეობას, არსებობს განსხვავებული მოსაზრებები (Саришвили, 2015, გვ. 84), თუმცა, მნიშვნელოვანი როლის გარეშე მას თანაავტორობის პრეტენზია ვერ ექნებოდა.

საზოგადოების მოწინავე წრეები ზაველეისკის თავისიანად თვლიდა. ეს უკვე შეუთავსებელი იყო კავკასიაში რუსული ადმინისტრაციის გეგმებთან. მისი გათავისუფლების მიზეზი გახდა იმპერატორისადმი გაგზავნილი ანგარიში, რომელშიც ნაჩვენები იყო ამიერკავკასიის ეკონომიკის დაცემის სურათი და შეთავაზებული სასარგებლო ზომები. 1831 წელს პასკევიჩის შემცვლელმა ბარონმა როზენმა, იცოდა რა უმაღლესი ხელისუფლების დამოკიდებულება, დაითხოვა თანამდებობიდან, რითაც დასრულდა მისი კავკასიური პერიოდი. "ამიერკავკასიის რუსული კომპანიის" შექმნის იდეაში ბარონი როზენი ხედავდა კავშირს შეთქმულებასთან. ეს პროექტი რომ განხორციელებულიყო, – წერდა ახალი მთავარ-მართებელი, აქ იქნებოდა ამერიკის შეერთებული შტატები... მხარის კამერალურ აღწერასაც იგი საზიანოდ და უდროოდ მიიჩნევდა. ეს რომ არ მომხდარიყო, შესაძ-ლოა არც შეთქმულება იქნებოდა – ფიქრობდა როზენი (Андроников, 1968, გვ. 208-229). მკვლევარი ა. ვოზნიაკი, რუსეთის ცენტრალური საისტორიო არქივის (პეტერბურგი) მასალებზე დაყრდნობით წერს, რომ ზაველეისკის თანამდებობა და სახელმწიფო მრჩევლის წოდება შეეწირა სამხედრო გუბერნატორის, გენერალ პანკრატიევის ინტრიგებსა და დასმენებს, რომელიც მას სამსახურებრივი მოვალეობის არასათანადო შესრულებასა და საკუთრი მდგომარეობის გამოყენებაში ადანაშაულებდა (Woźniak, 1998, p. 35). არ არის გამორიცხული, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული ყოფილიყო მისი გათავისუფლების საბაბი. მიზეზი კი, თუ გავითვალისწინებთ პოლონეთში მიმდინარე ანტიიმპერიულ აჯანყებას (რა დროსაც პოლონელ ჩინოვნიკებს ეჭვის თვალით უყურებდნენ), სწორედაც მის პოლონურ წარმომავლობაში უნდა ვეძიოთ.

3. ზაველეისკის „დანაშაულის" დამტკიცება შესაძლებელია მხოლოდ შეთქმულების მონაწილეთა ჩვენებების საფუძველზე. თუმცა, ისინი ამ მიმართულებით სიძუნწეს იჩენენ. დაკითხულ შეთქმულთა უმრავლესობა ზაველეისკის პირადად არ იცნობდა, თუმცა ნაწილს გაგებული ჰქონდა აღნიშნულ წრეში მისი მონაწილეობის ამბავი (გოზალიშვილი (2), 1970). „შეთქმულნი განსაკუთრებით ერიდებოდნენ წარჩინებული, რუსეთის სამსახურში მყოფი, დიდი თანამდებობის პირთა შეთქმულებაში მონაწილეობის გამომჟღავნებას, ყოველივე საშუალებით ცდილობდნენ მის დაფარვას და ეს ბუნებრივიც არის, რადგან ხსენებული კატეგორიის პირთა მონაწილეობის დადასტურება შეთქმულების ყველა მონაწილის ხვედრს დაამძიმებდა" (გოზალიშვილი (1), 1935, გვ. 40).

პეტრე ზაველეისკი, როგორც მაღალი რანგის ჩინოვნიკი, გამოირჩეოდა სამსახურისადმი სერიოზული დამოკიდებულებით. საფინანსო უწყებაში თუ სამოქალაქო გუბერნატორის თანამდებობაზე ყოფნისას ზედმიწევნით ასრულებდა დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს. აქ იგი, როგორც ჩანს, უკომპრომისობით გამოირჩეოდა, რაც მოსახლეობაში სიმკაცრედ და სისასტიკედ აღიქმებოდა. შეთქმულთა ნაწილი მის ასეთ ქმედებებს პროვოკაციულსა და ხალხის მღელვარების გამოწვევის სურვილით ნაკარნახევს უწოდებდა. გიორგი ერისთავის

ჩვენებით: „ყოფ. გუბერნატორ ზავილეისკის ვერ ვიცნობდი (პირადად). ვიცნობდი მხოლოდ როგორც გუბერნატორს და მის შეთქმის შესახებ იმის მეტი არა ვიცი რა, რომ ზაველეისკის როგორც პოლონელს სურს აქაც არეულობის მოხდენაო და ამიტომ ხალხს ავიწროებს და ჭავჭავაძის მეგობარიაო, მეუბნებოდნენ ალექსანდრე და ელიზბარი“ (გოზალიშვილი (2), 1970, გვ. 240). ზაალ ავთანდილაშვილის ჩვენებით, „არ მახსოვს რა თვესა და რიცხვში მხოლოდ ზაველეისკის გამგებლობის დროს კი იყო, ალექსანდრე ორბელიანი ჩიოდა აქაური დაწესებულებების მრავალ უკანონო მოქმედებაზე და მიაწერდა რა ყველა ამას ზაველეისკის – მითხრა, თითქოს ზაველეისკის მისთვის ეთქვას ქართველებს გძინავთ და ვერა გრძნობთ მთავრობა რანაირად გავიწროვებთო“ (გოზალიშვილი (2), 1970, გვ. 255).

პეტრე ზაველეისკის ახლო ურთიერთობა ჰქონდა ალ. ობელიანთან, რომლის ჩვენებაშიც ბევრი რამ საგულისხმოა: „წარსრულს 1831-სა წ. ოდესცა მოვიდა ანბავი პოლშამ იბუნტაო და რამოდენიმე ხანი გავიდა, გაზაფხული იწყებოდა, მაშინ, ერთს ღამეს, მითხრეს ღუბერნატორმა დაგიბარაო – საჩქაროთ ჩავიცვი და წავედი... ლაპარაკსა შორის მითხრა საყვარელო ალექსანდრეო, აქაც უნდა ეცადო რომ ბუნტი მოხდესო, მე პირველად გამიკვირდა და შემდეგ რადგანაც რომ მწყალობდა, დავიჯერე, მიუგე კარგი მეთქი, ვეცდები უთუოდ მეთქი და ავდექ წამოსასვლელად, მითხრა წადიო და ვინც შენიანი თავადები ანუ მოქალაქეები იყვნენო ყველანი მოითვისეო და შემოიერთეო, მე ამის გამგონეს ვიფიქრე ამას უთუოდ ჩემგნითა სურს მოქმედება მეთქი, და წამოსვლის დროს მითხრა, მინამ აღარ დაგიბარო, ნუღარ მოხვალო – შემდეგ აღარც დაუბარებივარ და აღარც მივსულვარ“ (გოზალიშვილი (1), 1935, გვ. 47).

სახელმწიფო სამსახურში მაღალი თანამდებობის პირისგან ასეთი ღია და პირდაპირი მოწოდება, ერთი შეხედვით, საეჭვო ჩანს. ამიტომაც გაჩნდა აზრი, ხომ არ იყო ეს ერთგვარი ზონდაჟი? „პოლონელ დიდგვაროვანთა ფენის წარმომადგენლები რუსეთის თვითმპყრობელობის სამსახურში იდგნენ და დაკისრებულ ვალდებულებებს ზედმიწევნითი სიზუსტით ასრულებდნენ. დასაშვებია, რომ პ. ზაველენსკი ამ კატეგორიის წარმომადგენელი იყო და მისი გასაუბრება ორბელიანთან დაზვერვით ხასიათს ატარებდა“ (ვაჩნაძე, 2010, გვ. 103). თუმცა, ალ. ორბელიანი სხვა ჩვენებაში ისეთ ნიუანსებს იხსენებს, რაც შეთქმულებაში პ. ზაველეისკის მონაწილეობას დამაჯერებელს ხდის. ალ. ორბელიანის თქმით, მის დეიდაშვილ გიორგი ერისთავს მისთვის უთქვამს, რომ „ოქროპირ ბატონიშვილს და ზაველეიცკის დიდი ერთობა აქვთო, ასე რომ გაუწყვეტლად, ზაველეიცკი ოქროპირ ბატონიშვილთან არისო.... პოლიაკების ბუნტის დროს, როგორც მახსომს ზაფხულს, შუა ქალაქსა, მოხდა კრივი ზაველეიცკის ბრძანებითა...“. ალ. ორბელიანს გასჩენია იდეა, კრივის დროს აესხათ იარაღი და დაეწყოთ გამოსვლა, მაგრამ შემდეგ გადაუფიქრებიათ. კრივი უმაღლესი მთავრობის მიერ აკრძალული იყო და ზაველეისკისაგან პოლონეთის აჯანყების დროს მისი აღდგენა შეფასებული იყო შემდეგში როგორც კანონის დარღვევა და

კრივის ნებართვით შეთქმულებისათვის აჯანყების დაწყების გაადვილების ცდა, რაც როგორც ალექსანდრეს სიტყვებიდან ჩანს, საფუძველს მოკლებული არ ყოფილა (გოზალიშვილი (1), 1935, გვ. 48).

მართალია, მოგვიანებით, ალ ორბელიანმა შეცვალა ჩვენება და განაცხადა, რომ „ზაველეისკიზე მან ყველაფერი მტრობითა თქვა, შურის საძიებლად იმ შეურაცყოფისათვის, რომელიც მან ორბელიანის დედას თეკლა ბატონიშვილს მიაყენა 1831 წელს მის სახლში საგუშაგოს მოწყობის განზრახვით“, მაგრამ, გოზალიშვილის აზრით, მან იცრუა, რადგან ზაველეისკისთან მას ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა (გოზალიშვილი (1), 1935, გვ. 49). ოქროპირ ბატონიშვილი იყო შეთქმულების მთავარი ინიციატორი და ორგანიზატორი. მასთან ზაველეისკის მეგობრობა, რაზეც მიუთითებდა გიორგი რევაზის ძე ერისთავიც, უკვე სერიოზული ეჭვის საფუძველია. ვფიქრობთ, მართებულია მოსაზრება, იმის თაობაზე, რომ ზაველეისკი, როგორც მაღალი თანამდებობის პირი, ცხადია, არ იყო გათქვეფილი შეთქმულთა მასაში და დაკავშირებული იყო მხოლოდ ხელმძღვანელ ბირთვთან (სურგულაძე, 1968). სამსახურეობრივ საქმეებზე მიმავალი ზაველეისკი ყოველთვის ჩერდებოდა მოსკოვში, ოქროპირ ბატონიშვილთან და სხვა შეთქმულებთან თათბირობდა. ეს გარემოება კიდევ უფრო ართულებს ეჭვს – პ. ზაველეისკი მოსკოვში განგებ ხომ არ ჩერდებოდა ოქროპირ ბატონიშვილთან, როგორც ამას შეთქმულნი შვრებოდნენ. საკმაო საფუძველი არსებობს იმისა, რომ პ. ზაველეისკის შეთქმულთა მესვეურებთან მჭიდრო ურთიერთობა უნდა ჰქონოდა როგორც მოსკოვში, ასევე თბილისში. ამიტომაა, რომ თუმცა შეთქმულთა უმეტესობა პ. ზაველეისკის პირადად არ იცნობდა, მათ კარგად იცოდნენ მისი განწყობილება (ხუნდაძე, გ., კიკილაშვილი, ვ., 2012, გვ. 88).

ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ პ. ზაველეისკი არა მარტო პირადად იყო დაკავშირებული შეთქმულებასთან, არამედ იგი უნდა ყოფილიყო საქართველოში გადმოსახლებული თუ აქ მეფის სამსახურში მყოფი პოლონელების საერთო იდეური და პრაქტიკული ხელმძღვანელი, რომელიც აკავშირებდა პოლონელებს ქართველებთან (ხუნდაძე, გ., კიკილაშვილი, ვ., 2012, გვ. 91). თუმცა, საგამოძიებო კომისიის გამოქვეყნებულ მასალებში, კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ მოძიებულ აქტებში ან სხვა დოკუმენტებში მსგავსი რამ არ იკვეთება.

იმისთვის, რომ დაეფარა მოძრაობის ნამდვილი მიზეზი – უკმაყოფილება და მღელვარება ქვეყნის შიგნით, მთავრობამ სიმძიმის ცენტრი რუსეთში გადასახლებულ ბატონიშვილებზე გადაიტანა და ყველაფერი მათ მიაწერა, ხოლო ქართველ შეთქმულთა გულუბრყვილო, ურთიერთსაწინააღმდეგო პასუხებს უყურადღებოდ ტოვებდა და ამით შეთქმულთა უმრავლესობას „თავის გამართლების“ საშუალებას აძლევდა (ხუნდაძე, გ., კიკილაშვილი, ვ., 2012, გვ. 81). ამავე დროს, რაკი შეთქმულთა ნაწილი (მათ შორის პ. ზაველეისკი) პეტერბურგში იმყოფებოდა, უმაღლესმა ხელისუფლებამ საჭიროდ ჩათვალა, მათი დაკითხვის

მიზნით იქვე შექმნილიყო საიდუმლო კომისია გენ.-ადიუტანტ გრაფ ორლოვის ხელმძღვანელობით (АКАК(8), 1881, გვ. 394). კომისიის მიერ გამოთქმული ეჭვის მიუხედავად, უტყუარ მტკიცებულებათა არ არსებობის გამო, ზაველეისკი დაჭერას გადაურჩა. მასზე საიდუმლო მეთვალყურეობა დაწესდა. ამის მიუხედავად, სულ მალე, ერთ არასრულ წელიწადში მას არათუ დაუბრუნეს ჩამორთმეული წოდება, არამედ მოუმატეს ჩინი და ნამდვილ სახელმწიფო მრჩევლად აღამაღლეს.

დასკვნა

1832 წლის შეთქმულება, მართალია, არ იყო ინსპირირებული პოლონეთის 1830-1831 წლების აჯანყების მიერ, მაგრამ მას, გარკვეულ ეტაპზე პირდაპირი გავლენა ჰქონდა შეთქმულების დაგეგმვასთან და ორგანიზებასთან: შეთქმულები თვალყურს ადევნებდნენ პოლონეთში მიმდინარე პროცესებს და მისი წარმატების შემთხვევაში აპირებდნენ განზრახვის სისრულეში მოყვანას.

შეთქმულების მთავარ ორგანიზატორებს გათვალისწინებული ჰქონდათ რუსეთის საოკუპაციო ჯარში მომსახურე და საქართველოში პერიოდულად გადმოსახლებულ ტყვე პოლონელთა ჩართვა აჯანყებაში, თუმცა, რაკი გამოსვლა ვერ მოხერხდა, მათი შესაძლო აქტივობის მასშტაბების განსაზღვრა შეუძლებელია.

შეთქმულების მესვეურებთან აქტიურად თანამშრომლობდა წარმოშობით პოლონელი, 1829-1831 წლებში საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი პეტრე ზაველეისკი, რომლის „დანაშაულიც“ დოკუმენტურად არ იკვეთება და ვერც საგამოძიებო კომისიამ შეძლო მისი დამტკიცება, თუმცა, შეთქმულების ორგანიზატორებთან ახლო ურთიერთობა, მონაწილეთა ჩვენებები და, გარკვეულწილად, მისი საეჭვო ქცევაც იძლევა იმის საფუძველს, რომ იგი შეთქმულების მინიმუმ გულშემატკივრად და თანამგრძნობად მივიჩნიოთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

გოზალიშვილი (1), გ. (1935). *1832 წლის შეთქმულება.* ტფილისი: სახელმწიფო უნი-ვერსიტეტის გამომცემლობა.

გოზალიშვილი (2), გ. (1970). *1832 წლის შეთქმულება, ტ. II.* თბილისი: მერანი.

ვაჩნაძე, თ. (2010). *ქართველი და პოლონელი ხალხების ეროვნული თავისუფლები-სათვის ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ (1832 წლის შეთქმულებაში პეტრე ზაველენსკის მონაწილეობის საკითხისათვის). ქრისტიანობის კვლევები, IV.*

თამარაშვილი, მ. (1995). *ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე.* თბილისი: "კანდელი".

როგავა, გ. (1996). *კათოლიკობა საქართველოში.* თბილისი.

საბანაძე გ., ჯგერენაია ე. (2021). *პოლონეთის და პოლონელების როლი ქართული ნაციონალიზმის ფორმირებაში XIX საუკუნის საქართველოში. პოლონეთი და პოლონელები ქართული ნაციონალიზმის ფორმირებაში,* თბილისი.

სურგულაძე, ა. (1968). *ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა.* თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

ხუნდაძე, გ. კიკილაშვილი ვ. (2012). *საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის ისტორიიდან.* თბილისი.

АКАК(5). (1873). *Акты, собранные Кавказской Археографической Комиссиею, под редакциею Ад. Берже, т. V.* Тифлисъ,.

АКАК(7). (1878). *Акты, собранные Кавказской Археографической Комиссиею, под редакциею Ад. Берже, т. VII,.* Тифлисъ.

АКАК(8). (1881). *Акты, собранные Кавказской Археографической Комиссиею, под редакциею Ад. Берже, т. VIII.* Тифлисъ.

Андроников, И. (1968). *Тетрадь Василия Завелейского. Прометей, Историко-биографический альманах серии „Жизнь замечательных людей“, Том пятый*.

Саришвили, В. (2015). *На мтацминда обретший бессмертие, Александр Грибоедов.* Тбилиси.

Furier, A. (2019). *Kaukaz w polskich planach walki o niepodległość w XIX wieku. Studia Polonijne*, т. 40.

Woźniak, A. (1998). *Polacy w Gruzji w pierwszej połowie XIX wieku*. *Niepodległość i Pamięć, 5/2 (11)*, pp. 29-43.

References

Gozalishvili (1), G. (1935). 1832 ts'lis shetkmuleba [1832 Georgian Plot]. t'pilisi: sakhelmts'ipo universit'et'is gamomtsemloba [Tiflis: State University Press].

Gozalishvili (2), G. (1970). 1832 ts'lis shetkmuleba [1832 Georgian Plot] , v. II. Tbilisi: Merani.

Vachnadze, T. (2010). kartveli da p'oloneli khalkhebis erovnuli tavisuplebisatvis brdzola rusetis ts'inaaghmdeg (1832 ts'lis shetkmulebashi p'et're zavelensk'is monats'ileobis sak'itkhisatvis) [The Struggle for National Freedom of the Georgian and Polish Peoples Against Russia (On the Question of the Participation of Peter Zavelensky in the 1832 Georgian Plot)]. krist'ianobis k'vlevebi [Studies in Christianity], IV.

Tamarashvili, M. (1995). kartuli ek'lesia dasabamidan dghemde [Georgian Church from the Beginning to the Present Day]. Tbilisi: "k'andeli".

Rogava, G. (1996). k'atolik'oba sakartveloshi [Catholicism in Georgia]. Tbilisi.

Sabanadze G., Jgerenaia E. (2021). p'olonetis da p'olonelebis roli kartuli natsionalizmis pormirebashi XIX sauk'unis sakartveloshi [The Role of Poland and Poles in the Formation of Georgian Nationalism in Georgia in the 19th Century]. p'oloneti da p'olonelebi kartuli natsionalizmis pormirebashi [Poland and the Poles in the Formation of Georgian Nationalism], Tbilisi.

Surguladze, A. (1968). nik'oloz baratashvilis ep'oka [The Era of Nikoloz Baratashvili]. Tbilisi: „sabch'ota sakartvelo“ [Soviet Georgia].

Khundadze, G. K'ik'ilashvili V. (2012). sakartvelo-p'olonetis urtiertobis ist'oriidan [From the History of Georgian-Polish Relations]. Tbilisi.

AKAK(5). (1873). Akty, sobrannye Kavkazskoj Arheograficheskoj Komissieju [Acts collected by the Caucasian Archaeographic Commission], pod redakcieju Ad. Berzhe, t. V [edited by Ad. Berger, vol. V]. Tiflis.

AKAK(7). (1878). Akty, sobrannye Kavkazskoj Arheograficheskoj Komissieju [Acts collected by the Caucasian Archaeographic Commission], pod redakcieju Ad. Berzhe, t. VII [edited by Ad. Berger, vol. VII]. Tiflis.

AKAK(8). (1881). Akty, sobrannye Kavkazskoj Arheograficheskoj Komissieju [Acts collected by the Caucasian Archaeographic Commission], pod redakcieju Ad. Berzhe, t. VIII [edited by Ad. Berger, vol. VIII]. Tiflis.

Andronikov, I. (1968). Tetrad' Vasilija Zavelejskogo [Notebook of Vasily Zaveleisky]. Prometej, Istoriko-biograficheskij al'manah serii „Zhizn' zamechatel'nyh ljudej“, Tom pjatyj [Prometheus, Historical and biographical almanac of the series "Life of Remarkable People", vol. Five].

Sarishvili, V. (2015). Na mtacminda obretshij bessmertie, Aleksandr Griboedov [Alexander Griboedov, Who Gained Immortality On Mount Mtatsminda]. Tbilisi.

Furier, A. (2019). Kaukaz w polskich planach walki o niepodległość w XIX wieku [The Caucasus in the Polish plans of the fight for independence in the 19th century]. Studia Polonijne, т. 40 [Polonia Studies, vol. 40].

Woźniak, A. (1998). Polacy w Gruzji w pierwszej połowie XIX wieku [Poles in Georgia in the first half of the 19th century]. *Niepodległość i Pamięć, 5/2 (11)*, pp. 29-43.